www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018
აგვისტო

ინფლაცია საქართველოში

03.09.2018

www.geostat.ge

03.09.2018

ინფლაცია საქართველოში, 2018 წლის აგვისტო

2018 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3,1 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.1
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.1
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.3
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.2
ჯანმრთელობის დაცვა	0.3
ტრანსპორტი	0.2
კავშირგაბმულობა	0.0
დასვენება, გართობა და კულტურა	0.0
განათლება	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.2
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.0
ინფლაციის დონე, სულ	0.5

ჯგუფების წვლილი* 2018 წლის აგვისტოს ინფლაციაში (სულ 0,5%)



ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 1,5 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,44 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (16,4 პროცენტი), ასევე რძე, ყველი და კვერცხი (4,8 პროცენტი). ამასთან, ფასების 16,2 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე;

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები შემცირდა 1,1 პროცენტით, რაც -0,04 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. აღნიშნულ პერიოდში ფასები შემცირდა როგორც ფეხსაცმლის (-1,3 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (-1,1 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

03.09.2018

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის აგვისტოს წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	4.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-8.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	3.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	2.1
ჯანმრთელობის დაცვა	5.2
ტრანსპორტი	7.8
კავშირგაბმულობა	-1.3
დასვენება, გართობა და კულტურა	1.6
განათლება	1.2
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.8
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.5
ინფლაციის დონე, სულ	3.1

ჯგუფების წვლილი* 2018 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 3.1%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 7,8 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,04 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (12,9 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-9,7 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 3,2 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,96 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (24,7 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4,4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,3 პროცენტი), თევზეული (3,3 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (2,0 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-17,1 პროცენტი), ასევე შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-3,1 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 5,2 პროცენტით, რაც 0,44 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (10,0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (2,9 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,4 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4,7 პროცენტით, რაც 0,33 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები მომატებულია როგორც თამბაქოს ნაწარმზე (8,0 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,4 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 3,4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,29 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი), ასევე ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (3,2 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში
(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ. ფოსტა: gtetrauli@geostat.ge